განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობები

ბაკალავრიატი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 22 ნოემბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი - 17 იანვარი 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**საერთაშორისო ურთიერთობები** International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	II (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #735 , 28.11.2012

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დარბაიძე
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ალანია ფრიდრიხ ებერტის ფონდი, სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მჭედლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტირებულ რეჟიმში მოქმედებს 2012 წლიდან. უნივერსიტეტის მიერ, წარმოდგენილი პროგრამა, მიზნებიდან გამომდინარე, მოაზრებულია როგორც ფართო განათლების მიმცემი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რომელიც უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს და, ამასთანავე, გაითვალისწინებს დარგის მიღწევებს.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამა დღეისათვის არის მოქმედი, მას აკრედიტაციის ვადა ეწურება 2021 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით შექმნა კურიკულუმის განვითარების კომისია და თვითშეფასების ჯგუფი, რომელსაც დაევალა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შემოწმება, თვითშეფასების ანგარიშისა და ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. რეალრედიტაციისთვის მომზადების პროცესში, საერთაშორიო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რაც გამოიხატა ახალი სასწავლო კურსების დამატებაში, ზოგიერთი სასწავლო კურსის გაუქმებაში, არსებული სასწავლო კურსების მოდიფიცირებაში (როგორც შინაარსის, ისე მოცულობის თვალსაზრისით) და ა.შ.

პროგრამას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 20 განმახორციელებელი, მათ შორის: 15 აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი) და 5 მოწვეული პერსონალი.

პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მისაღებად. პროგრამა აგებულია პრინციპით - სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტი (შესაბამისი

შინაარსის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები; სავალდებულო პროფესიული პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი) და თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო ნაწილს წარმოადგენს უცხო ენის სასწავლო კურსები). პროგრამა, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, 60 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები ან იმავე 60 კრედიტის ფარგლებში მოახდინოს დამატებითი პროგრამის (48 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსების (12 კრედიტი) კომბინირება. პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა არის 4 წელი (8 სემესტრი). წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 (სემესტრში - 30) კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) ონლაინ ვიზიტი (zoom პლატფორმის მეშვეობით) შპს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 22 ნოემბერს, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ასევე, დამსაქმებლებს.
ასევე, დისტანციურად, მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყენებული უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა და სხვ.) დათვალიერება.
ვიზიტი მიმდინარეობდა 10.00-დან 18.30 საათამდე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ვიზიტი წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე, კონსტრუქციულ გარემოში, რამაც უზრუნველყო ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო პროცესი. ვიზიტის დასრულებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ინფორმაცია, ჯგუფის თავმჯდომარემ კი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

კომპონენტი 1.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
კომპონენტი 1.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

კომპონენტი 2.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
კომპონენტები 2.2; 2.3; 2.4; 2.6 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
კომპონენტი 2.5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

კომპონენტი 3.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

კომპონენტები 4.1; 4.2; 4.3; 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

კომპონენტები 5.1; 5.2; 5.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

<u>სტანდარტი 1. კომპონენტი 1.1.</u>

1. რეკომინდირებულია, პროგრამის მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს რა უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს მიზნად პროგრამა.

<u>სტანდარტი 1. კომპონენტი 1.2</u>

2. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ისე ჩამოყალიბება, რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.

<u>სტანდარტი 2. კომპონენტი 2.1.</u>

3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ისწავლებოდეს არა პირველი კურსის პირველ სემესტრში, არამედ მომდევნო სემესტრებში და მას წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“, „საერთაშორისო ურთიერთობები XX-XXI სს. დასაწყისში“.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“ წინაპირობად, ასევე, განესაზღვროს სასწავლო კურსი „დიპლომატიის ისტორია უძველესი დროდან XVII საუკუნის ჩათვლით“.
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ევროპული დემოკრატიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილიდან არჩევით ნაწილში გადავიდეს.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „დიპლომატიური სამსახურის საფუძვლები“ არჩევითი ნაწილიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში.
7. რეკომენდებულია „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ სასწავლო კურს განესაზღვროს წინაპირობა.

<u>სტანდარტი 2. კომპონენტი 2.3.</u>

8. რეკომენდებულია სასწავლო კურსებს: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „სტატისტიკა“, „სოციოლოგიური თეორიები და გლობალიზაციის ეპოქა“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ და „პროფესიულ პრაქტიკას“, მათი მიზნების, თემატიკის, სწავლის შედეგების და ლიტერტაურის მოცულობიდან გამომდინარე გაეზარდოთ კრედიტების მოცულობა.
9. რეკომენდებულია ბაკალავრიატის საფეხურისათვის შესაბამისი ლიტერატურის მითითება შემდეგ სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო სისტემები“, „კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები“, „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“.
10. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, „საერთაშორისო სისტემები“, „სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის გეოპოლიტიკა“, „ახლო არმოსავლეტის პოლიტიკა“ აღმოიფხვრას გადაფარვები ძირითად ლიტერატურაში.
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობებების შესავალი“, „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“, „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა“, „შედარებითი პოლიტიკა“, „საქართველოს სახელმწიფოს ისტორია“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, კონფლიქტების მართვა და

მოლაპარაკებები“, სწავლის შედეგების რეფორმულირება, რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.

12. რეკომედებულია სასწავლო კურსში „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ დაზუსტდეს შუალედური შეფასების ნაწილში „აქტიურობის“ შეფასების 10 ქულის წილობრივი მოცულობები კვირეების მიხედვით.
13. რეკომედებულია სასწავლო კურსში „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ დარგობრივ ჭრილში შესაბამისი თემატური ნაშრომის მომზადება და არა რეფერატის, როგორც ეს სილაბუსში წარმოდგენილი. ასევე, მისი შეფასების ინდიკატორი „პრობლემის კრიტიკული ანალიზისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა“ უნდა იყოს ფორმულირებული ბაკალავრიატის დონის შესაბამისად.
14. რეკომენდირებულია სასწავლო კურს „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“, მისი მიზნების, თემატიკის და სწავლის შედეგების შესაბამისად, შეეცვალოს დასახელება და მოვიდეს შესაბამისობასი კურსის მიზნებთან, თემატიკასთან და შედეგებთან.

<u>სტანდარტი 2. კომპონენტი 2.4.</u>

15. დარგის და შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკული, წერითი და ვერბალური უნარების ჩამოყალიბება და გაძლიერება სწავლებაში თანამედროვე მეთოდების ინტეგრირებისა და გამოყენების გზით.

<u>სტანდარტი 2. კომპონენტი 2.5.</u>

16. რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებთან გაიწეროს შესაბამისი შეფასების ქულები.

<u>სტანდარტი 5. კომპონენტი 5.1.</u>

17. რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა ერთიანად შედეგთა ჯგუფებისთვის („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“), არამედ თითოეული კონკრეტული შედეგისთვის. ასევე, თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდეს შეფასების რომელი მეთოდით (გამოკითხვა, პროექტი, ესსე და/ან სხვ.) მოხდება ამ შედეგის მიღწების შეფასება და დადასტურება.

<u>სტანდარტი 5. კომპონენტი 5.2.</u>

18. რეკომედებულია ამოქმედდეს უცხოელი ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი, რომელიც თავად დაწესებულებამ დაადგინა დოკუმენტში „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“.

<u>სტანდარტი 5. კომპონენტი 5.3.</u>

19. რეკომენდებულია მოხდეს ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგების დოკუმენტირება, რათა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით იყოს შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.
20. რეკომენდებულია თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ.

- **რჩევები**

1. სასურველია შრომის ბაზრის სრულყოფილი და უფრო სიღრმისეული კვლევა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, დარგობრივი საჭიროებების ჭრილში.
2. სასურველია შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზის განხორციელების მექანიზმის დახვეწა და მისი პრაქტიკაში განხორციელება შესაბამის პირის/ორგანოს მიერ.

3. მიზანშწონილია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ფართო სპექტრის ჩართულობა და მათთან რეგულარული კომუნიკაცია (მაგ., ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში) რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნები ინდეტიფიცირების მიზნით.
4. სასურველია ჩანაწერი პროგრამის წინაპირობის შესახებ გასწორდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ოქტომბრის N92/ნ ბრძანების N3 დანართის მიხედვით (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის სავალდებულო საგნებად განისაზღვრა მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათ-ლება/გეოგრაფია).
5. სასურველია სტუდენტთა მხარდამჭერის ისეთი მექანიზმების ამოქმედება, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის სტი-მულირება.
6. სასურველია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავების-თვის განხორციელდეს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. ორგანიზება.
7. სასურველია უფრო მეტი დარგობრივი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორ-განიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, პრაქტიკის განსახორციელებლად.
8. პრაქტიკის არსებული მოდელის გაძლიერება და სტუდენტებისთვის დამატებითი მო-ტივაციის და შესაძლებლობის შექმნა მათ მიერ პრაქტიკის კომპონენტის განასახორ-ციელებლად.
9. სასურველია დეტალურად გაიწეროს სტუდენტების მიერ გამოცდების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმები
10. სასურველია დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც აისახოს. ასევე, უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული პორტალი ,,სტადლაბის'' ტექნიკური გამართულობა.
11. სასურველია საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება.
12. სასურველია კარიერის მართვუს სამსახურის/კარიერული სამსახურის ფუნქციის შემთავსებელი სტრუქტურული ერთეულების როლის გაძლიერება, აქტიური კომუნი-კაცია სტუდენტებთან და სტუდენტების ცნობიერების ამაღლება ერთეულის მოვალეობების, ფუნქციების და ამ სერვისის შესახებ.
13. სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს და კიდევ უფრო გააძლიეროს აკადე-მიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერისაკენ მიმართული ღონისძიებების უზრუნველყოფა.
14. სასურველია დროულად მოხდეს წვდომის აღდგენა საერთაშორისო ელექტრონულ სა-ბიბლიოთეკო ბაზებთან, რაც უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი მექანიზმია სტუდენე-ბისა თუ პროფესორ-მასწავლებელების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწ-ყობის თვალსაზრისით.
15. სასურველია, რომ პროგრამის ბიუჯეტში გამოინახოს შესაბამისი რესურსი ახალი სას-წავლო სახელმძღვანელოების, მთარგმნელობითი საქმიანობის სტიმულირების კუთ-ხით.

16. სასურველია გაუმჯობესდეს პროგრამის განმახორციელებელთა კონსულტირების ხარისხი, განსაკუთრებით პროგრამის კომპონენტის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
17. მიზანშეწონილია პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტებში აისახოს პროგრამის შეფასებისა და განვითარების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა სამიზნე ნიშნულებთან დადარების შედეგების გამოყენება;
18. მიზანშეწონილია დოკუმენტის „საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ, (დადგენილება № 05/01-384, 22. 02. 2018)“ შინაარსი მოვიდეს თანხდედრაში ამ დოკუმენტის დასახელებასთან;
19. მიზანშეწონილია დოკუმენტში „საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაუქმდეს/დაკორექტირდეს არარელევანტური ჩანაწერი „... ასევე მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის... ფუნქციები და მოვალეობები“ (იხ. გვ.4; IV. დამატებითი ინფორმაცია (დანართები), პ.3);
20. მიზანშეწონილია, უკვე მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების რიცხობრივი მაჩვენებლები.
21. სასურველია გააქტიურდეს მუშაობა დღეისათვის აქტუალური (2012 წელს გაცემული) რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით;
22. სასურველია იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის ობიექტური გარე ექსპერტიზის ჩატარება;
23. სასურველია გარე შეფასებისთვის შემუშავებული ფორმა იყოს ნაკლებად ფორმალური და მოიცავდეს შეფასებას დაქვემდებარებულ ინფორმაციას;
24. სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რიცხვი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ვაიდურობას.
25. მიზანშეწონილია დაკორექტირდეს/გაუქმდეს დოკუმენტში „ხარისხს გაუმჯობესების მექანიზმები“ დღეისათვის არარელევანტური ჩანაწერი: „უნივერსიტეტი ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება)“.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  -

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ**

  აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „არგუმენტირებულ პოზიციას“, და მიიჩნია, რომ იმდენად, რამდენადაც დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ მოსაზრებები, რაც არ იყოს გამყარებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემობებით და არგუმენტაციით, ექსპერტთა ჯგუფმა უცვლელად დატოვა საგანმანთლებლო პროგრამის შეფასება სტანდარტებთან მიმართებაში და დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაციები და რჩევები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას მოცემულ სფეროში პროფესიული და კარიერული წინსვლის და/ან განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. პროგრამის შესწავლამ აჩვენა, რომ მისი მიზანი ძირითადად ასახავს, თუ რა ცოდნის მიცემაზეა ორიენტირებული პროგრამა, თუმცა პროგრამის მიზნებში, მიუხედავად იმისა რომ პროგრამის სწავლის შედეგებში და სასწავლო კურსების სილაბუსებშიც ნათლად ჩანს თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ემსახურება პროგრამა, არ არის აღნიშნული დარგობრივი მიმართულებით რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული. პროგრამის ექვსი მიზნიდან მხოლოდ მე-4 მიზანში ჩანს დარგობრივი ასპექტები, რაც ვერ ასახავს დარგის შინაარსობრივ მახასიათებლებს. კერძოდ, პროგრამის მიზანია: ,,საერთასორისო ურთიერთობებში მიმდინარე პოლიტიკური და ისტორიული პროცესების <u>გააზრების</u>, საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების <u>ანალიზის</u>, საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორთა, მათ შორის ევროპის სახელმწიფოების, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების <u>განსაზღვრის</u> პროფესიული უნარ-ჩვევები. ამ მიზნითაც ჩანს, რომ ერთადერთი დარგობრივი მახასიათებელი არის ,,საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების <u>ანალიზის უნარ-ჩვევეა“</u>, დანარჩენი ამ კონტექსტშიც ცოდნა-გაცნობიერების ნაწილია მოცემული. აქედან გამომდინარე პროგრამის მიზნები სუსტად ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, ასევე საზოგადოების განვითარებაში, შესაბამისად, პროგრამის მიზნების კავშირი სუსტად იკვეთება უნივერსიტეტის მისიასთან. ამრიგად, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ორიენტირებულია პროგრამის ფარგლებში მისაღებ თეორიულ ცოდნაზე და მასში არ იკითხება შესაბამისი უნარები და კომეტენციები, მაშინ როცა აკრედიტაციის სტანდარტის 1.1. კომპონენტის მოთხოვნის შესაბამისად პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს „თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა“. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის და მასში მოცემული მრავალფეროვანი სასწავლო კომპონენეტების შესაბამისად მოხდეს პროგრამის

მიზნების იმგავრი ფორმულირება, რომ მასში მკაფიოდ აისახოს დარგობრივი მიმართულებით თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული.

ასევე, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტის (შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი - „დასაქმების ბაზრის კვლევა“) შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი სუსტად აჩვენებს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო ცოდნის მიმართულებით პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას, რადგან არ ჩანს მკაფიოდ შრომის ბაზრის მოთხოვნილება დარგობრივი კომპეტენციების საჭიროების მიმართულებით. აღნიშნულ დოკუმენტში სუსტად ჩანს პროგრამის საჭიროება და მნიშვნელობა დამსაქმებლებისათვის. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტს („დასაქმების ბაზრის კვლევა“) აკლია სიზუსტე და გამჭვირვალობა. დოკუმენტში მითითებული შესაბამისი წყაროები არის მოძველებული და ეყრდნობა 2015-2019 წლის ზოგად მონაცემებს (საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების შესახებ, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ბიზნეს ადმინისტრირებაში, პოლიტოლოგიაში, ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში). ამასთანავე, კვლევის მეთოდოლოგია ლიმიტირებული და ეყრდნობა მხოლოდ 15 დამსაქმებლის მონაცემებს, ასევე გაურკვეველია თუ რომელი დამსაქმებლები იქნა გამოკითხული. აღნიშნულ დოკუმენტს აკლია სიღრმისეული კვლევის შედეგები დარგობრივ ჭრილში. ამასთან, დოკუმენტში არ არის გაანალიზებული დამსაქმებელთა მოლოდინები და საჭიროებები პროგრამის კურსდამთავრებულთა მიმართ. <u>პროგრამის კონცეფციის და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის</u> განხორციელების პროცესი მკაფიო არ არის. ამ მოცემულობით და მეთოდოლოგიით, მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ რეალისტურად განისაზღვროს შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნები, ამ კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში. შესაბამისად, მათი სილაბუსებში ინტეგრირება არ არის რელევანტური პროგრამის განვითარებისთვის. როგორც ინტერვიუებიდან დასტურდება, უნივერსიტეტის არ ჩაუტარებია 2020 წლის შრომის ბაზრის კვლევა და ამ კუთხით პანდემიური გარემოს თავისებურებები და ცვლილებები გაანალიზებული და ასახული არ არის. შესაბამისად, სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მიზნობრივად პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები.

პროგრამა ავლენს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პრინციპებთან თავსებადობას, თუმცა საკუთრივ საგანამანთლებლო პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია არ არის განსაზღვრული. ამიტომ, სასურველია, პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება.

გასაუბრებამ აჩვენა, რომ რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამა/კურიკულუმი;
2. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
3. უნივერსიტეტის მისია;
4. შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი;
5. საგანმანათლებლო პროგრამის მარეგულირებელი წესი;
6. ინტერვიუს შედეგები;
7. უნივერსიტეტის ვებგვერდი.
8. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი

რეკომენდაციები:

1. რეკომინდირებულია, პროგრამის მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს რა უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს მიზნად პროგრამა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია შრომის ბაზრის სრულყოფილი და უფრო სიღრმისეული კვლევა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, დარგობრივი საჭიროებების ჭრილში.
2. სასურველია შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზის განხორციელების მექანიზმის დახვეწა და მისი პრაქტიკაში განხორციელება შესაბამის პირის/ორგანოს მიერ.
3. მიზანშწონილია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ფართო სპექტრის ჩართულობა და მათთან რეგულარული კომუნიკაცია (მაგ., ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში) რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნები ინდეტიფიცირების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც სტუდენტს ექნება პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი ძირითადად შეესაბამება სწავლის საფეხურის (ბაკალავრიატის) აღმწერს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით) ძირითადად წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამისთვის განისაზღვრა ათი შედეგი, რომლებიც, ძირითადად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან მხოლოდ ცოდნა-გაცნობიერების და ტრანსფერული უნარების ნაწილში, ხოლო დარგობრივი უნარების ნაწილში - მეტწილად. პროგრამის სწავლის შედეგები, მეტწილად, პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს და ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. კერძოდ:

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

1. ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე პროცესების, ძირითადი ფაქტების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების შესახებ ფართო ცოდნას, რომელის მოიცავს დარგის თეორიებისისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, **ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტებს,** იცნობს დარგის ცნებებსა და ტერმინოლოგიებს.

2. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილე ძირითად აქტორებს, მათ ქცევებს, საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ისტორიული ფაქტების ცოდნისა და ინტერდისციპლინური გააზრების საფუძველზე აკავშირებს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული აქტორების საქმიანობას და პოლიტიკურ ინტერესებს;

3. **განსაზღვრავს გლობალზაციის პირობებში საერთაშორისო სამართლისა** და საერთაშორისო ინსტიტუტების **როლს,** მათ ორგანიზაციულ სტრუქტურებს, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს, მიზნებსა და ამოცანებს: არჩევს საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმებისა და **საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების დაბრკოლებებსა და შესაძლებლობებს.**

4. ახდენს საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების იდენტიფიკაციას: **აჯგუფებს ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიის რეგიონებში მიმდინარე პროცესებს** და აკავშირებს მათ ისტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და **სამართლებრივ ასპექტებთან;**

5. **არჩევს კვლევის ძირითადი მეთოდებს** (დაკვირვება, ექსპერიმენტი, კონტენტანალიზი, ტესტი, კითხვარი, ანკეტა, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი) და **იყენებს კონკრეტული საკითხის შესწავლისა** და არგუმენტაციის პროცესში;

უნარები

6. იყენებს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში არსებული თეორიების, კონცეფციებისა და მეთოდოლოგიის **სფეროსთვის დამახასიათებელ შემეცნებით** და პრაქტიკულ **უნარ-ჩვევებს,** რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისთვის; ახდენს **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების** იდენტიფიცირებას, დიფერენცირებას, შეფასებას და წარდგენას;

7. **ითვალისწინებს** სოციალურ, **სამეცნიერო** და ეთიკურ საკითხებს **კვლევის საფუძველზე მიღებული სათანადო დაკვნების ჩამოყალიბებისას;** ახორციელებს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, ან ნაშრომებს წინასწარ განსაზღრული მითითებების შესაბამისად: შეუძლია შესაფერისი მეთოდების გამოყენებით განახორციელოს ადეკვატური კვლევა და მონაცემთა შეგროვება, გააანალიზოს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები სტანდარტული და უახლესი მეთოდების გამოყენებით, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიტანოს არგუმენტირებული დასკვნა; შეუძლია შეისწავლოს და შეაფასოს ახლო აღმოსავლეთის, ევროპის, სამხრეთ კავკასიის რეგიონებში მიმდინარე მოვლენები და პროცესები საერთაშორისო ურთიერთობებისა და მომიჯნავე დისციპლინების (პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა, სამართალი) პერსპექტივიდან.

8. აქვს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში აკადემიური და ეფექტური წერითი თუ ზეპირი კომუნიკაციის გამოყენების უნარები; გეგმავს და იყენებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისთვის შესაბამისი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ რესურსებს და მათი გამოყენებით ახორციელებს შესაბამისი დასკვნების გაკეთებას და აუდიტორიისთვის წარდგენას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. საერთაშორისო ურთიერთოებების დარგში გეგმავს და წამართავს **არაპროგნოზირებად, კომპლექსურ** სასწავლო, სამუშაო ან **კვლევით გარემოში განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას (როგორც პრაქტიკული ასევე კვლევითი სამუშაოს შესრულება:** მასალის შეგროვება, დაკვირვება, ანალიზი, პლაგიატის აღმოფხვრა) და იღებს მასზე პასუხისმგებლობას;

10. დარგში საკუთარ საქმიანობას ახორციელებს ეთიკის პრინციპების დაცვით და გეგმავს საკუთარი და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, ადგენს სწავლის საჭიროებებს, ხელს უწყობს და ახორციელებს მას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.

პროგრამის სწავლის შედეგების მსგავსი შინაარსობრივი ფორმულირება გაართულებს მათ მკაფიო აღქმას და, შესაბამისად, რეალურ გაზომვადობას. მართალია, პროგრამაში არის სწავლის შედეგების მიხედვით <u>შესაბამისი ზოგადი/პირობითი სამიზნე ნიშნულები გაწერილი, მაგრამ სწავლის შედეგების შეფასება აღნიშნული ნიშნულებით გაჭირდება,</u> ვინაიდან სწავლის ზოგიერთ შედეგში ვლინდება შინაარსობრივი აგებულების ზედაპირულობა, გაურკვევლობა და სირთულეც. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, სწავლის შედეგები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რომ იყო მკაფიო და გაზომვადი.

თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის, ასევე პროგრამის კურიკულუმის და სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შედეგების გაუმჯობესება ხდება აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლის, პროგრამის კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევისა და მათ მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე. თუმცა ინტერვიუების და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე არ დასტურდება შრომის ბაზართან მიმართებაში, სწავლის პროცესში რეგულარულად დარგობრივი საჭიროებების სპეციფიკის გათვალისწინება. ამასთანავე შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზის ჩატარება არ არის განსაზღვრული სტრუქტურულად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტრუქტურული სახე მიეცეს შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზის განხორციელების მექანიზმის. ამასთანავე, როგორც ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, დარგის სპეციფიკის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, უნივერსიტეტი აქამდე არსებული პრაქტიკით, მხოლოდ ორი დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად ახორციელებდა და არა კვლევაზე დაფუძნებული მონაცემების საფუძველზე, რაც თავის მხრივ გამოწვევაა პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასების მეთოდი ითვალისწინებს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს (ქულებს) და მათ ანალიზს; შეფასების არაპირდაპირ მეთოდი არის სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ. თუმცა მოცემულ ეტაპზე შესაბამისი კითხვარი მხოლოდ მომზადების პროცესშია, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები შეძლებენ აღნიშნონ საკუთარი მოსაზრებები, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იგივე კითხვარი გაეგზავნება დამსაქმებლებთანაც. ასევე იგეგმება რუბრიკების მომზადება.

სწავლის შედეგების შეფასებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ატარებს შესაბამის კვლევებს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია შესაბამის სასწავლო კურსებზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება; ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-ზე მეტი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება: კრედიტები; სწავლების მეთოდები; თემატიკა; მოცულობა; შეფასების ფორმები და მეთოდები; ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა; კურსის დაძლევის წინაპირობა და/ან სხვ. შეფასების მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება და სამიზნე ნიშნულები ეხება იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. შემუშავებულია და განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

დაგეგმილი სამიზნე ნიშნული 60%. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებული შედეგები გაანალიზდება და მოხდება მისი შედარება სამიზნე ნიშნულებთან. შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პროგრამის გადახედვა და

კურიკულუმის რუკის მოდიფიკაცია. შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოიღონ სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ. ამ პროცესში ჩართული იქნება როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციია და სხვა დაინტერესებული პირები. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციები ფაკულტეტის ხარისხის სამსახური წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, რომლის დადებითი დასკვნის საფუძველზე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასტურის შემდეგ, დაგეგმილ ცვლილებებს დასამტკიცებლად წარუდეგნენ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; 2. საგანმანათლებლო პროგრამა; 3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; 4. ინტერვიუს შედეგები; 5. თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ისე ჩამოყალიბება, რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის, თვითშეფასების დოკუმენტებით და გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მკაფიოდ არის ფორმულირებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სხვადასხვა პირობას მოიცავს. კერძოდ: პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. პროგრამაზე სავალდებულო საგნებად კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), ისტორია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტში ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში განსაზღვრულ ჩასაბარებელ სავალდებულო საგანთა ჩამონათვალთან მიმართებით ფიქსირდება შეცდომა, რომელიც სასურველია გასწორდეს. სახელდობრ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ოქტომბრის N92/ნ ბრძანების მიხედვით ცვლილება შევიდა „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში. აღნიშნული ბრძანების N3 დანართის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის სავალდებულო საგნებად განისაზღვრა მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია. პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა ან მობილობით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთიანი აქტის საფუძველზე. პროგრამა და შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საგანმანათლებლო პროგრამა; 2. თვითშეფასების ანგარიში; 3. უნივერსიტეტის ვებგვერდი; 4. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია ჩანაწერი პროგრამის წინაპირობის შესახებ გასწორდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ოქტომბრის N92/ნ ბრძანების N3 დანართის მიხედვით (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის სავალდებულო საგნებად განისაზღვრა მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათ-ლება/გეოგრაფია).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, უნი-ვერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის და ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემის შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფი-კაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი ძირითა-დად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. გასაუბრებამ აჩვენა რომ პროგრამის საწყის ეტაპზე სტუდენტები შეისწავლიან პროგრამის კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უფრო მეტად სწავლის შედეგების გაცნობით დონეზე გაყვანას, შემდგომ ეტაპზე სტუდენტები შეისწავლიან პროგრამის კომპონენტებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგების გაღრმავებაზე, ხოლო პროგრამის დასკვნით ეტაპზე წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტები ხელს უწყობენ სტუდენ-ტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებას. შესაბამისად, საწყისი სემესტრები ძირი-თადად ემსახურება დარგის და მისი მომიჯნავე დისციპლინების თეორიული საფუძვ-ლების გაცნობას, მეორე სემესტრიდან იწყება და შემდეგ სემესტრებში ინტენსიურად გრძელდება დარგის ძირითადი საკითხების, აქტორების, მიმდინარე პროცესებისა და გამოწვევების შესწავლა, რაც პროგრამის სტრუქტურის შესწავლამ და გასაუბრებამ აჩვენა. პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: 180 კრედიტი - 126 კრედიტი მოიცავს სწავლის

ძირითადი სფეროს სავალდებულო და არჩევით (30 კრედიტი) სასწავლო კურსებს, სავალდებულო პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს; უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) სასწავლო კურსებს (24 კრედიტი, აქედან: ზოგადი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) – 18 კრედიტი, დარგობრივი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 6 კრედიტი). პროგრამა სტუდენტს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას - 60 კრედიტი დაგეგმოს თავისი შეხედულებისამებრ: ა) აიღოს თავისუფალი კურსები - 60 კრედიტი ან ბ) დამატებითი (Minor) პროგრამა - 48 ECTS კრედიტი და თავისუფალი კურსები - 12 კრედიტი.

პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, ამ კომპონენტების შესწავლის თანმიმდევრობა და სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა. წინაპირობების მქონე პროგრამის კომპონენტების გასავლელად სტუდენტი დაიშვება მხოლოდ წინაპირობად მითითებულ კომპონენტში კრედიტის მიღების შემთხვევაში. პროგრამის სასწავლო კურსები მეტწილად ერთიან კონტექსტში მოიაზრება. ყურადღება მათ ლოგიკურ თავსებადობასა და თანმიმდევრობას ეთმობა, რაც ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ამ კუთხით პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამაში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კომპონენტები შინაარსობრივად ავლენენ წინაპირობების მიხედვით თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების აუცილებლობას, ვინაიდან წინაპირობა არის როგორც პროგრამის კომპონენტების ლოგიკურად და თანმიმდევრულად დალაგების, ასევე სტუდენტისთვის ცოდნის მიღების უწყვეტობის საფუძველი. მაგალითად, სასწავლო კურსი: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უნდა ისწავლებოდეს არა პირველი კურსის პირველ სემესტრში არამედ შემდეგ შემესტრებში, ამ სასწავლო კურსის წარმატებულად ატვისებისათვის აუცილებელია სტუდენტს გავლილი ჰქონდეს საერთაშორისო ურთიერთობებში გარკვეული საფუძვლები, ამიტომ რეკომენდებულია პირველი შემესტრიდან ის გადავიდეს შემდეგ სემესტრში და წინა პირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“, „საერთაშორისო ურთიერთობები XX-XXI სს. დასაწყისში“. სასწავლო გეგმაში ისინი უნდა ისწავლებოდეს სხვადასხვა სემესტრში თანმიმდევრულად, შინაარსობრივად წინაპირობების მიხედვით თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებით.

პროგრამის სტრუქტურაში ზოგიერთ სასწავლო კურს არ აქვს შესაბამისი წინაპირობა, რაც სასწავლო კურსის სირთულიდან და სპეციფიკად გამომდინარე გაართულებს მის ათვისებას სტუდენტის მიერ. მაგალითად, სასწავლო კურსის „სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა“ წინაპირობად განსაზღვრულია ორი სასწავლო კურსი: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ და „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“, რომლებიც შინაარსობრივად მათში მოცემული თემატიკიდან გამომდინარე ვერ ავლენს აღნიშნულ სასწავლო კურსთან ლოგიკურ ბმას. რადგანაც სასწავლო კურსი კონკრეტული რეგიონის გეოპლოტიკას ეხება და, ერთგვარად, სპეკკურსის სახე აქვს, აქედან გამომდინარე მას აუცილებლად სჭირდება წინაპირობად სასწავლო კურსი, რომელიც გეოპოლიტიკის ცნებებს, კატეგორიების, თეორიებს, კონცეფციებს და ა.შ. საკითხებს შეასწავლის, რათა სტუდენტმა უკეთ შეძლოს კონკრეტული რეგიონის გეპოლიტიკურ კოლიზიებში გარკვევა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სასწავლო კურს „სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა“ განესაზღვროს წინაპირობა „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ და ამ მიზნით ეს უკანასკნელი სასწავლო კურსი დაემატოს პროგრამის სტრუქტურას სავალდებულო სასწავლო კურსად. წინაპირობის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე რეკომენდებულია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“ წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსი „დიპლომატიის ისტორია უძველესი დროდან XVII საუკუნის ჩათვლით“.

პროგრამის სტრუქტურაში მოცემულია რიგი სასწავლო კურსები, რომლებიც თემატურად ერთმანეთს ფარავს და ერთგვარ დუბლირებას აკეთებს სასწავლო კურსების. მაგალითად სასწავლო კურსები „შედარებითი პოლიტიკა“ და „ევროპული დემოკრატიები“, რომლებიც რეალურად ასწავლიან ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს. ამიტომ რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ევროპული დემოკრატიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილიდან არჩევით ნაწილში გადავიდეს. ასევე, რამდენადაც პროგრამა დასაქმების სფეროებად ასევე მიუთითებს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მის სტრუქტურებს, საელჩოებს, დიპლომატიურ ასპარეზს, რეკომენდებულია არჩევითი ნაწილიდან სასწავლო კურსი „დიპლომატიური სამსახურის საფუძვლები“ გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში. სასწავლო კურსის დაძლევის და ათვისების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე რეკომენდებულია „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ სასწავლო კურს განესაზღვროს წინაპირობები წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (ბაკალავრიატი) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი) შესაბამისობას. გასაუბრებით დადასტურდა რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საგანმანათლებლო პროგრამა 2. თვითშეფასების ანგარიში 3. ინტერვიუს შედეგები 4. სასწავლო კურსის სილაბუსები
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ისწავლებოდეს არა პირველი კურსის პირველ სემესტრში, არამედ მომდევნო სემესტრებში და მას წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“, „საერთაშორისო ურთიერთობები XX-XXI სს. დასაწყისში“. 2. რეკომენდებულია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“ წინაპირობად, ასევე, განესაზღვროს სასწავლო კურსი „დიპლომატიის ისტორია უძველესი დროდან XVII საუკუნის ჩათვლით“. 3. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ევროპული დემოკრატიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილიდან არჩევით ნაწილში გადავიდეს. 4. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „დიპლომატიური სამსახურის საფუძვლები“ არჩევითი ნაწილიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში. 5. რეკომენდებულია „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ სასწავლო კურს განესაზღვროს წინაპირობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლამ და წარმოდგენილმა კურიკულუმის რუკამ აჩვენა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსები ძირითადად უზრუნველყოფენ პროგრამის მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტებისათვის ცოდნის და უნარების მიმართულებით. საკუთრივ პროგრამის შედეგებში მეტწილად ჩანს თუ დარგის რა ფართო ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად ასახავს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. კურიკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ ისევე, როგორც გასაუბრებამ, აჩვენა, რომ კურსების მოცულობა კრედიტებში მეტწილად უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მეტწილად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა, მათი გადანაწილებისას მხედველობაში მიიღება სტუ-დენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში მოსამზადებელი დავალებების მოცულობა და სირთულე, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის მოცულობა. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, თუმცა სასწავლო კურსების შესწავლამ გამოავლინა ტექნიკური და შინარსობრივი ხარვეზები. ასევე გამოიკვეთა სასწავლო კურსში თემატური გადაფარვების და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირებასთან, საკრედიტო მოცულობის და ა.შ. მიმართებით. სასწავლო კურსების შესწავლამ აჩვენა რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში, კურსის შინაარსა და სწავლის შედეგებთან მიმარრთებით არარელევანტურია. კერძოდ, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, მისი მიზნების, თემატიკის, სწავლის შედეგების და ლიტერტაურის მოცულობიდან გამომდინარე, შემთხვევაში რთული იქნება შედეგის მიღწევა 3 კრედიტის ფარგლებში. ამიტომ რეკომენდებულია მისი მოცულობა გაიზარდოს 5 კრედიტამდე. სასწავლო კურსის „სტატისტიკა“ შემთხვევაში, რომელსაც პროგრამაში 3 კრედიტი აქვს დათმობილი, ხოლო შინაარსით მთლიანდ სტატისტიკის კვლევის მეთოდებს ეთმობა, შინაარსიდან და შესასწავლი მასალის მოცულობიდან გამომდინარე რთული იქნება მისი მიზნის განხორციელება და შედეგის მიღწევა. შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს „სტატისტიკის“ სასწავლო კურსი საკრედიტო მოცულობა 5 კრედიტამდე. ასევე სასწავლო კურსის „სოციოლოგიური ტეორიებსი და გლობალიზაციის ეპოქა“, რომელსაც 3 კრედიტი ეტმობა, შემთხვევაში რეკომედებულია კურსის მიზნების, თემატიკის, სწავლის შედეგების და შეფასების მეთოდების გათვალისიწნებით კრედიტების რაოდენობის გაზრდა 5 კრედიტამდე. სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“,

რომელსაც 3 კრედიტი ეთმობა, მიზნებიდან, თემატიკიდან, ლიტერატურიდან და შედეგებიდან გამომდინარე რეკომედებულია გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა 5 კრედიტამდე. ასევე რეკომედებულია 5 კრედიტამდე გაეზარდოს კრედიტების რაოდენობა „პროფესიული პრაქტიკის“ შემთხვევაშიც.

სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა, მეტწილად პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს, ვინაიდან ზოგიერთ სასწავლო კურსში შეინიშნება ძირითად ლიტერატურად სამაგისტრო დონისთვის შესაფერის ლიტერატურის მითითება. კურსის სპეციფიკიდან, სწავლების საფეხურიდან და მოცემული მასალის სირთულიდან და სიდიდან გამომდინარე რთული იქნება დასახული მიზნების და შედეგების მიღწევა. მაგალითად: სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ - ლიტერატურა: პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები მეხუთე გამოცემა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი – 2014 წელი. რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი. საერთაშორისო პოლიტიკა. თბ. 2011; სასწავლო კურსი: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ - ლიტერატურა: საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. სალექციო კურსი ეკა აკობიას რედაქციით. თბილისი, 2006. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია. თბ., 2004; სასწავლო კურსი-საერთაშორისო სისტემები: ლიტერატურა - ნ. კიღურაძე. გ. სანიკიძე. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, თბ.2001; სასწავლო კურსი „კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები“ - ლიტერატურა: ლევან ჯორბენაძე. პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ - ლიტერატურა: ჯ. ჯონსონი, პოლიტიკის კვლევის მეთოდები, თბ., 2013 ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი, კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში. რეკომენდებულია აღნიშნულ სასწავ-ლო კურსებში ბაკალავრიატის სწავლების საფეხურისათვის შესაბამისი ლიტერატურის მითითება.

სასწავლო კურსის ლიტერატურაში შეინიშნება ძირითადი ლიტერატურის გადა-ფარვები, კერძოდ: სასწავლო კურსში „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი. საერთაშო-რისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები მეხუთე გამოცემა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი – 2014 წელი. იგივე წიგნი სავალდებულო ლიტერა-ტურად არის მითითებული სასწავლო კურსში „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“. სასწავლო კურსში „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ ძირითად ლიტერატურად მითიტებულია ა. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006, იგივე წიგნის სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია სასწავლო კურსში „საერთაშორისო სისტემები“. სასწავლო კურსში „სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის გეოპოლიტიკა“ ძირითადი ლიეტარტურა - ნ. ჩიტაძე გეოპოლიტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბი-ლისი 2011, იგივე ლიტერატურაა მითითებული ძირითად ლიტერატურაში სასწავლო კურ-სში: ნიკა ჩიტაძე, გეოპოლიტიკა, თბილისი, 2011. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სასწავლო კურსებში აღმოიფხვრას გადაფარვები ძირითად ლიტერატურაში.

სასწავლო კურსების შესწავლამ რიგ შემთხვევაში გამოავლინა შინარსობრივი ხარ-ვეზებისასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირებასთან მიმართებით. ცალკეულ შემთხვევაში ვლინდება სასწავლო კურსებში მიზნებსა და თემათიკასთან შეუსაბამო სწავლის შედეგები. მაგალითად, ზოგიერთ სასწავლო კურსში დასახვეწია სწავლის შედეგები, რათა ისინი გახდნენ მკაფიო და გაზომვადი. მაგალითად:

- სასწავლო კურსში „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ - სწავლის შედეგებში მითითებულია ,,აანალიზებს პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ევოლუციის და მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების ცოდნის საფუძველზე;“, შეუძლია საერთა-შორისო ურთიერთობებში ჩართული აქტორებისა და პროცესების ინტერდისციპლინური გააზრება მომიჯნავე დისციპლინების ცოდნის საფუძველზე“, ,,გააჩნია საერთაშორისო

ურთიერთობების დარგის ფარგლებში არსებული ლიდერული პოტენციალის რეალიზაციისთვის საჭირო ეთიკური ნორმების აღქმა და შესაბამისი კომპეტენციები“. სწავლის აღნიშნული შედეგების მიღწევა მოცემულ სასწავლო კურსსი შეუძლებელია, ვინაიდან ამ შედეგების მიღწევას სჭირდება შესაბამისი თემატიკა კურსში და ამავე დროს სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს სხვა ცალკეული სასწავლო კურსები. შესაბამისად, რეკომედებულია სწავლის შედეგების ფორმულირება სასწავლო კურსის მიზნების და თემატიკის შესაბამისად.

- სასწავლო კურსში „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“ - „განსაზღვრავს მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების მეთოდებს. შეუძლია მოახდინოს მრავალმხრივი ინფორმაციის კლასიფიკაცია და ანალიზი; არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; იყენებს მიღებულ ცოდნას კონკრეტული აქტივობებისთვის: ქართულ ენაზე მოსაზრების ჩამოყალიბება; დებატსა და დისკუსიაში მონაწილეობა განსხვავებული აზრისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებით; პრეზენტაციის წარმოდგენა; წერილობითი ნაშრომის მომზადება. რეკომედებული სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში უნარების ნაწილში მკაფიოდ გაიწეროს დარგობრივიო კომპეტენციების შედეგები.
- სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალურ მმართველობა“ - ,,აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და თემატიკიდან გამომდინარე ახდენს საკუთარი პოზიციის დემონსტრირებას. მიღებულ ცოდნას იყენებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განსახორციელებლად. რეკომედებულია სწავლის შედეგების რეფორმურება რომ იყოს მკფაიო და გაზომვადი მოცემულ ნაწილში.
- სასწავლო კურსი „შედარებითი პოლიტიკა“ - განსაზღვრავს მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების მეთოდებს. „აცნობიერებს მიღებული ინფორმაციის ურთიერთწინააღმდეგობრივ ხასიათს. შეუძლია მრავალმხრივი ინფორმაციის კლასიფიკაცია; შედარებითი ანალიზი; არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; პოლიტიკური პროცესების განმარტება; შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. რეკომედებულია მოცემული სწავლის შედეგი დაკონკრეტდეს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით, რომ იყოს მკაფო და გაზომვადი.
- სასწავლო კურსი „საქართველოს სახელმწიფოს ისტორია“ - აანალიზებს რომ სფეროს სისტემური ცოდნა საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის, განვითარებისა და თანამედროვეობის შესახებ დაეხმარება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში, ასევე ზოგადი ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებაში. რეკომედებულია სწავლის შედეგების რეფორმურება რომ იყოს მკფაიო და გაზომვადი მოცემულ ნაწილში.
- სასწავლო კურსში „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ - ,,განსაზღვრავს გლობალური ეკონომიკის რესურსულ პოტენციალს. რეკომედებულია სწავლის მოცემული შედეგის ჩამოყალიბება ისე, რომ იყოს მკფაიო და გაზომვადი მოცემულ ნაწილში.
- სასწავლო კურსი „კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები“ - ,,იყენებს მოლაპარაკებების სფეროსათვის დამახასიათებელ შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებისას რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად“, რეკომედებულია სწავლის მოცემული შედეგის რეფორმურება რომ იყოს მკფაიო და გაზომვადი მოცემულ ნაწილში.

სასწავლო კურსში „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ - დაზუსტებას მოითხოვს შუალედური შეფასების ნაწილში არსებული „აქტიურობის“ შეფასების 10 ქულის კვირეების მიხედვით დაზუსტება. ასევე მოცემულ სასწავლო კურსში რეკომედებული დარგობრივ ჭრილში შესაბამისი თემატური ნაშრომის მომზადება და არა რეფერატის, როგორც ეს სილაბუსში წარმოდგენილი. ამავე დროს, მისი შეფასების ინდიკატორი ,,პრობლემის კრიტიკული ანალიზისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა“ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ბაკალავრიატის დონის შესაბამისად.

ზოგიერთ სილაბუსში რეკომენდირებულია სასწავლო კურსის დასახელება, მიზანი, თემატიკა და სწავლის შედეგები მოვიდეს კორელაციაშია. კერძოდ, სასწავლო კურსი „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“ - კურსის მიზნებიდან თემატიკიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტს ასწავლის პოლიტიკის ძირითად თემატურ საკითხებს და ნაკლებად საკუთრივ ცნებებს. ცნებებია რეჟიმი, სისტემა, ძალაუფლება, და ა.შ, ხოლო სასწავლო კურსის მიზანია ,,სტუდენტს მისცეს ცოდნა პოლიტიკის რაობის, ძირითადი კონცეფციებისა და პრობლემების შესახებ. კერძოდ, შეასწავლოს სახელმწიფოს ტიპები, მმართველობის სხვადასხვა ფორმები, პოლიტიკური იდეოლოგიები; გააცნოს ისეთი აქტორების როლი საშინაო პოლიტიკაზე, როგორიცაა: ეკონომიკა, მასმედია, პარტიები და პარტიული სისტემები, არჩევნები; გააცნოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური როლი პოლიტიკის შემუშავებასა და სისტემურ დანერგვაში“. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია სასწავლო კურს შეეცვალოს დასახელება და ის მოვიდეს შესაბამისობასი კურსი მიზნებთან, თემატიკასთან და შედეგებთან.

სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მითითებული სასწავლო მასალა, ძირითადად, დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლოპროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
2. საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროგრამის კომპონენტების სილაბუსები.

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია სასწავლო კურსებს: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „სტატისტიკა“, „სოციოლოგიური თეორიები და გლობალიზაციის ეპოქა“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ და „პროფესიულ პრაქტიკას“, მათი მიზნების, თემატიკის, სწავლის შედეგების და ლიტერტაურის მოცულობიდან გამომდინარე გაეზარდოთ კრედიტების მოცულობა 5 კრედიტამდე.
2. რეკომენდებულია ბაკალავრიატის საფეხურისათვის შესაბამისი ლიტერატურის მითითება შემდეგ სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო სისტემები“, „კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები“, „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, „საერთაშორისო სისტემები“, „სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის გეოპოლიტიკა“, „ახლო არმოსავლეტის პოლიტიკა“ აღმოიფხვრას გადაფარვები ძირითად ლიტერატურაში.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობებების შესავალი“, „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“, „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა“, „შედარებითი პოლიტიკა“, „საქართველოს სახელმწიფოს ისტორია“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები“, სწავლის შედეგების რეფორმულირება, რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
5. რეკომედებულია სასწავლო კურსში „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ დაზუსტდეს შუალედური შეფასების ნაწილში „აქტიურობის“ შეფასების 10 ქულის წილობრივი მოცულობები კვირეების მიხედვით.
6. რეკომედებულია სასწავლო კურსში „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ დარგობრივ ჭრილში შესაბამისი თემატური ნაშრომის მომზადება და არა რეფერატის, როგორც ეს სილაბუსში წარმოდგენილი. ასევე, მისი შეფასების ინდიკატორი „პრობლემის კრიტიკული ანალიზისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა“ უნდა იყოს ფორმულირებული ბაკალავრიატის დონის შესაბამისად.

7. რეკომენდირებულია სასწავლო კურს „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“, მისი მიზნების, თემატიკის და სწავლის შედეგების შესაბამისად, შეეცვალოს დასახელება და მოვიდეს შესაბამისობასი კურსის მიზნებთან, თემატიკასთან და შედეგებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შესწავლის შედეგად, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებითაც, პროგრამა პრაქტი-კული უნარების გამომუშავებას უზურუნველყოფს ცალკეულ სასწავლო კურსებში შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდების ინტეგრირებით. როგორც პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, ზოგიერთ სასწავლოს კურსებში ინტეგრირებულია ისეთი სწავლება სწავლის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები და ა.შ. სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება, რაც მიიღწევა პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული კონკრეტული სასწავლო კურსის ერთობლიობით. თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავალამ აჩვენა, რომ პროგრამაში გასაძლიერებელია პრაქტიკული ნაწილის ინტეგრირება სასწავლო კომპონენტებში, სადაც მეტი აქცენტი თეორიის პრაქტიკაში რეალიზებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე გაკეთდება. მუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული სწავლების კომპონენტი გარკვეულწილად გათვალისწინებულია სილაბუსში, ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ უმეტესად გამოიყენება წიგნზე მუშაობის, დავალებაზე დაფუძნებული სწავლების, დებატების და მონაცემების ინტერნეტ სივრციდან მოძიების მეთოდები. შესაბამისად, შეზღუდულია თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენება და შრომის ბაზრისთვის აუცილებელი ანალიტიკური, ვერბალური თუ წერით უნარ-ჩვევების მიღების შესაძლებლობა სტუდენტებისთვის, რაც ასევე სტუდენტების გამოკითხვის დოკუმენტითაც დასტურდება. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების სიმცირე დაკავშირებულია დარგში არსებული თანამედროვე ლიტერატურის ნაკლებად ხელმისაწვდომობასთან (სილაბუსებში ძირითად

მოძველებული ლიტერატურაა მითითებული, რადგან თანამედროვე ლიტერატურის, როგორც ბიბლიოთეკაში დანერგვა, ისე მათი ასლის გადაღება ორიგინალიდან, გამოწვევას წარმოადგენს). შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ყველა ზემოთაღნიშნული უნარებით სტუდენტების აღჭურვა და ამ კომპონენტების გასაძლიერებლად შესაბამისი ქმედებების განხორციელება, მათი სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების და თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით.

ასევე, პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამის კომპონენტი „პროფესიული პრაქტიკა", რომელიც სავალდებულოა პროგრამაში. მას მინიჭებული აქვს 3 კრედიტი. უნარების და ცოდნის გამოსამუშავებლად და სამუშაოს დიდი მოცულობიდან გამომდინარე, 3 კრედიტი არ არის საკმარისი ამ კომპონენტის შესაფასებლად. როგორც ინტერვიუებით დასტურდება, მხოლოდ ერთ დამსაქმებლთან ერთად, მოხდა პრაქტიკის სილაბუსის შემუშავება, რომელიც ახლა ინერგება. მიუხედავად ამისა, ინტერვიუებიდან (როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი/სკოლა) ისე პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე სტუდენტებთან), ირკვევა, რომ სტუდენტების უმეტესობა ამ შესაძლებლობით არ/ვერ სარგებლობს ან აქამდე არ უსარგებლია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთან ინტერვიუები, განსხვავებულ სურათს გვაძლევს, და გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთმა პრაქტიკის ობიექტმა, პროგრამის 8 და მომიჯნავე დისციპლინის 7 სტუდენტი მიიღო პრაქტიკაზე, ერთდროულად. თუმცა პრაქტიკის ობიექტის მცირე მასშტაბიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ როგორ ხორციელდება ერთდროულად 15 სტუდენტის ხარისხიანი მომსახურეობა და სიღრმისეული მენტორინგი. პრაქტიკის არსებული მოდელის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მისი გაძლიერება და დამატებითი მოტივაციის და შესაძლებლობების შექმნა სტუდენტებისთვის, რათა პრაქტიკული კომპონენტით დაკავდნენ.

პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფს საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კომპონენტებს: სტატისტიკა, დარგობრივი აკადემიური წერა, კველვის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში, საბაკალავრო ნაშრომი.

აქვე ხაზგასასმელია დამსაქმებელთა როლი პროგრამის განვითარების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას დამსაქმებელთა საკმაოდ მცირე ჩამონათვალი აქვს მითითებული, რომლებთანაც გაფორმებულია მემორანდუმები თუ ხელშეკრულებები ინტერვიუს შედეგებმა ვერ დაადასტურა მათი უმეტესობის აქტიური ჩართულობა. ისეთი მრავალფეროვანი და დასაქმების ფართო შესაძლებლობის მქონე პროგრამისათვის, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობა პროგრამის განხორციელების პროცესში და მათთან მუდმივი კავშირი. შესაბამისად, აუცილებელია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ერთის მხრივ, დამსაქმებელთა სპექტრის გამრავალფეროვნება (საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციები) და მათი ინტენსიური ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში.

როგორც ინტერვიუირებამ აჩვენა, დაწესებულების ადმინისტრაცია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის ნაკლებად ახორციელებს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები,დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში ნაკლებად ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება და მხარდაჭერა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ სხვა საშუალებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

გამოკითხვების და ასევე ვიზიტის ფარგლებში, გამოიკვეთა, თეორიული და პრაქტიკული უნარების სინთეზის, წერითი, ვერბალური და პრაქტიკული უნარების გაძლიერების საჭიროება. როგროც ინტერვიუებით დასტურდება, კურსდამთავრებულთა უმეტესობა პროფესიით არ არის დასაქმებული ან ჯერ არ ყოფილა დასაქმებული (მიზეზად სწავლის გაგრძელება სახელდება).
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. თვითშეფასების ანგარიში; 2. ინტერვიუს შედეგები; 3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; 4. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
რეკომენდაციები: 1. დარგის და შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკული, წერითი და ვერბალური უნარების ჩამოყალიბება და გაძლიერება სწავლებაში თანამედროვე მეთოდების ინტეგრირებისა და გამოყენების გზით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია სტუდენტთა მხარდამჭერის ისეთი მექანიზმების ამოქმედება, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის სტიმულირება. 2. სასურველია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის განხორციელდეს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. ორგანიზება. 3. სასურველია უფრო მეტი დარგობრივი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, პრაქტიკის განსახორციელებლად. 4. პრაქტიკის არსებული მოდელის გაძლიერება და სტუდენტებისთვის დამატებითი მოტივაციის და შესაძლებლობის შექმნა მათ მიერ პრაქტიკის კომპონენტის განასახორციელებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების სილაბუსების მიხედვით გამოიყენება სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდი, როგორებიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და ა.შ., რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა დისკუსია, დებატები, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, გონებრივი იერიში, ახსნა-განმარტება, ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვა.

სილაბუსების შესწავლამ, ასევე სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ისინი, ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესების შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების ანგარიში;
2. საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროგრამის კომპონენტების სილაბუსები.
4. ინტერვიუს შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
5. ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შესწავლაზე და ინრეტვიუს შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. პროგრამის კომპონენტებში გათვალისწინებული შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და ქულობრივი სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც

ერთვის პროგრამას. სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და სამართლიანი ყველა სტუდენტისთვის.

შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესის მიხედვით ხორციელდება და მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით შეფასებას (გამოცდას), რომელიც 40-ქულიანია. შუალედურ შეფასებებში იყენებენ სხვადასხვა სახის შეფასების კომპონენტებს, როგორიცაა, მაგ., სემინარები, ქვიზები და პრეზენტაციები.

სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სილაბუსებს, რომელიც ატვირთული აქვთ სტუდენტურ ფლატფორმა ,,სტადლაბზე''. თუმცა, ვიზიტისას შემთხვევითობის პრინციპით სტუდენტის მიერ არჩეული სილაბუსის გახსნა ვერ მოხერხდა.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თუმცა აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში არაა მითითებული ინფორმაცია დასკვნით გამოცდაზე დაშვებისთვის საჭირო ქულის ოდენობის შესახებ, რაც სასურველია იყოს ასახული სილაბუსში.

პროგრამის კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი (6 კრედიტი, საიდანაც 30 - საკონ-ტაქტო სთ, 120 - დამოუკიდებელი მუშაობა). აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო ნაშრომის დოკუმენტში არ არის გაწერილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულების მიხედვით.

სასწავლო კურსი დაძლეულია მაქსიმალური შესაძლო ქულიდან 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის 45% -ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შეფასების სისტემა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა)(A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ)(C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ)(D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე)(E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა)(FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ)(F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ინრეტვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებისგან იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებსა და საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ყოველი სემინარის შემდგომ სოციალური ქსელებისა და ზუმის პლატფორმის მეშვეობით. სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების შედეგების გასაჩივრება, თუმცა გამოკითხულთაგან არავის უსარგებლია მსგავსი სერვისით. ამასთან, გასაჩივრების პროცედურები არ არის გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შესაბამისად, რეკომენდირებულია გასაჩივრების მექანიზმები დეტალურად გაიწეროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-172, 5.08.2014);
2. პროგრამა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
3. ელექტრონული პორტალი ,,სტადლაბი'';
4. თვითშეფასების ანგარიში;
5. უნივერსიტეტის ვებგვერდი;
6. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებთან გაიწეროს შესაბამისი შეფასების ქულები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია დეტალურად გაიწეროს სტუდენტების მიერ გამოცდების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმები 2. სასურველია დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც აისახოს. ასევე, უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული პორტალი ,,სტადლაბის'' ტექნიკური გამართულობა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტს მეტნაკლებად აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა სტუდენტური ინიციატივებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას იგებენ მხოლოდ სტუდენტურ პლატფორმა ,,სტადლაბიდან'' და სოციალური ქსელების მეშვეობით, ამასთანავე კონკრეტულად ვერ იხსენებენ ვერც ერთ მსგავს ღონისძიებას.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობითა და გაცვლითი პროექტებით, თუმცა აღმოჩნდა, რომ სტუდენტები მობილობას იშვიათად იყენებენ. ამასთანავე, არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი და გაცვლით პროგრამათა რაოდენობაც შეზღუდულია. როგორც თავად სტუდენტები და კურსდამთავრებულები ამბობენ, უმჯობესი იქნება პროფესიული კუთხით მეტი პრაქტიკული კურსის გავლის შესაძლებლობის ქონა.

სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, თუმცა გამოკითხვით დგინდება, რომ ისინი თემას თვითონვე ირჩევენ, თავადვე ამუშავებენ და ,,ზუმის'' პლატფორმის მეშვეობით წარადგენენ შესაბამისი საკონსულტაციო დახმარების გარეშე. ამიტომ, მიზანშეწონილია საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება და სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება აღნიშნული ღონისძიებების შესახებ, რათა სტუდენტებისთვის მსგავსი შესაძლებლობებით სარგებლობა მეტად რეალური გახდეს.

უნივერსიტეტს გააჩნია კარიერის მართვის სამსახური. თუმცა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სტუდენტებს ინფომრაცია ნაკლებად ან საერთოდ არ აქვთ ამ სამსახურების შესახებ. გამოიკვეთა, რომ მათ უმრავლესობას არ უსარგებლია ამ სამსახურების სერვისებით. ასევე, სტუდენტებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ ასეთი საჭიროების შემთხვევაში ისინი მიმართავენ დეკანატს ან ლექტორს. ამასთან, ინტერვიუს დროს მათ არ აღუნიშნავთ ვაკანსიებზე ინფორმაციის მიღების ფაქტების შესახებ. შესაბამისად, ეს მექანიზმი სტრუქტურულად გაუმართავია. რეკომენდირებულია ამ კუთხით კონსულტაციის გაწევის მექანიზმის დახვეწა და ინფორმირებულობის გაზრდა, სტუდენტს პრაქტიკული ხასიათის პროექტებში მონაწილეობისას, კონსულტაციას გაწევის მექანიზმის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ არ დასტურდება უნივერსიტეტის სტუდენტებთან ან კურსდამთავრებულებთან სისტემატური კავშირის დამყარების და უკუკავშირის მიღების მექანიზმის არსებობა კარიერული შესაძლებლობების მიწოდების კუთხით. სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ინტერვიუს დროს არ აღუნიშნავთ უნივერსტიტეტის კარიერული სამსახურიდან ელფოსტის მეშვეობით ინტენსიურად დასაქმების შესაძლებლობების და ვაკანსიების შესახებ, ინფორმაციის მიღების ფაქტების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტი
2. თვითშეფასების ანგარიში
3. უნივერსიტეტის ვებგვერდი
4. ინტერვიუს შედეგები
5. ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
6. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
7. შრომის ბაზრის კვლევა;
8. გამოკითხვის შედეგების ანალიზი

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება. 2. სასურველია კარიერის მართვის სამსახურის/კარიერული სამსახურის ფუნქციის შემთავსებელი სტრუქტურული ერთეულების როლის გაძლიერება, აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან და სტუდენტების ცნობიერების ამაღლება ერთეულის მოვალეობების, ფუნქციების და ამ სერვისის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი -
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაში ჯამურად ჩართული პერსონალის რაოდენობაა 20, საიდანაც 15 არის აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 11 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი, მათგან 15 აქვს აფილირება უნივერსიტეტთან), ამასთანავე პროგრამაში ჩართულია 5 მოწვეული პერსონალი. შესაბამისად აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 15/5 და აქტიურ სტუდენტთა თანაფარდობა 20/81 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ფუნქციონირებაში აქტიურად არის ჩართული მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რაც შესაბამისად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მათი შემდგომი პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა აღნიშნული მიმართულების კიდევ უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობებს. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება როგორც ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ასევე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და

კომპეტენციის ქონით, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით, ხოლო აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს შემუშავებული აქვს 05/01-400 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესს და ინდივიდუალური დატვირთვის სქემასს, რომელიც იძლევა შესაძლებლობას და არ უწესებს რაიმე სახის შეზღუდვებს, რომ მათი აკადემიური პერსონალი ჩართული იყოს არა მხოლოდ სსუ-ში, არამედ ასევე სხვა უსდ-ში, სადაც ისინი ეწევიან დამატებით საქმიანობას. პროგრამის სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახის აქტივობებსა და ღონისძიებებში. დოკუმენტაციის გაცნობისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება როგორც სფეროს შესაბამისი განათლებით, ასევე პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებას დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტები, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. პროგრამა და სილაბუსები; 2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები და პირადი საქმეები; 3. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; 5. თვითშეფასების ანგარიში; 6. ინტერვიუს შედეგები; 7. უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოთხოვილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად და ჩატარებული ინტერვიუების შემდეგ დგინდება, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის შეფასებას, რომელიც ორ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს, ეს არის პერსონალის სწავლებისა და სამეცნიერო აქტივობების კომპეტენციები. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს გარკვეული სახის პროფესიული განვითარების მხარდამჭერ სისტემებს, რაც თავად ბიუჯეტშიც არის ჩადებული ტრენინგებში, კონფერენციებში, თუ სხვა სახის აქტივობებში მონაწილეობის კუთხით და ა.შ იკვეთება გარკვეული აუცილებლობები, რასაც კიდევ უფრო ამყარებს აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, იკვეთება მეტი ხელშემწყობი აქტივობების განხორციელების საჭიროებები აკადემიური და მოწვეული პერსონალის კუთხით ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, მეტი ხელშეწყობა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის კუთხით, ახალი და კვალიფიციური კადრების მომზადება და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; 2. პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მისი ანალიზი; 3. დასრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური პროექტების შედეგების შეფასების დოკუმენტი; 4. პერსონალის პირადი საქმეები; 5. ინტერვიუს შედეგები; 6. თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს და კიდევ უფრო გააძლიეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერისაკენ მიმართული ღონისძიებების უზრუნველყოფა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური (მათ შორის, საბიბლიოთეკო) და ტექნიკური რესურსებით. ბიბლიოთეკაში განთავსებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო რესურსებისა და მათი გამოყენების წესების შესახებ, მათთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ბიბლიოთეკაში. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დრო ბიბლიოთეკის რესურსების დათვალიერების პროცესში როგორც თავად პერსონალმა აღნიშნა, მათ ჰქონდათ წვდომა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებთან, რომლებიც მათ საშუალებას აძლევდათ გაცნობოდნენ შესაბამისი სფეროს უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა კონტრაქტის ვადის გასვლის გამო ამ სერვისის გამოყენება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის დროისათვის არ იყო ხელმისწვდომი, თუმცა როგორც თავად აღნიშნეს, უახლოეს პირიოდში დაგეგმილი ჰქონდათ წვდომის განახლება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა და დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ინტერვიუ ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან; 2. სამეცნიერო ბაზების კატალოგი; 3. თვითშეფასების ანგარიში; 4. უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია დროულად მოხდეს წვდომის აღდგენა საერთაშორისო ელექტრონულ სა-ბიბლიოთეკო ბაზებთან, რაც უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი მექანიზმია სტუდენებისა თუ პროფესორ-მასწავლებელების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის თვალსაზრისით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რაც გარკვეულწილად დადასტურდა ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად. პროგრამის ბიუჯეტში მოცემულია ინფორმაცია ხელფასების შესახებ, ასევე სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მომზადების/გადამზადების, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ხარჯების შესახებ და სხვა საჭირო მონაცემები, რაც არწმუნებს ექსპერტთა ჯგუფს, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ბიუჯეტის დოკუმენტი 2. თვითშეფასების ანგარიში; 3. ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია, რომ პროგრამის ბიუჯეტში გამოინახოს შესაბამისი რესურსი ახალი სასწავლო სახელმძღვანელოების, მთარგმნელობითი საქმიანობის სტიმულირების კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემუშავების, განნვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს ძირითადად რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით: ▪ „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“ - ადგენს ხარისხის უზრუნველოფის სისტემის სახელმძღვანელო პრონციპს (PDCA) და მისი თითოეული ეტაპის აქტივობებს; აღწერს სასწავლო პროცესის, სამეცნიერო მუშაობის და პერსონალის შეფასების სისტემას, პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევის საკითხს, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულ რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორებს. ▪ „საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ - მასში აღწერილია საპროცედურო საკითხები, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესი და მისი ფუნქციები (მ.1.), პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა (მ.2), პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა (მ.3); პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება, მათ შორის მოთხოვნები პროგრამის კურიკულუმისა და სილბუსისადმი, მატერიალური და ადამიანური რესურსები, დამატებითი ინფორმაცია (დანართები) (მ.4); პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა (მ.5) და თავად ამ დოკუმენტის მიღების და გაუქმების უფლებამოსილება (მ.6). მითითებულ დოკუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დასახელებიდან გამომდინარე: 1) დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის განვითარების მეთოდოლოგიასაც, თუმცა ეს საკითხი დოკუმენტში მოცემული არ არის; 2) დოკუმენტი შემუშავებულია საბაკალავრო პროგრამების მიზნებისთვის, რის გამო ნაკლებად რელევანტურია ჩანაწერი „... ასევე მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის... ფუნქციები და მოვალეობები“ (იხ. გვ.4; IV. დამატებითი ინფორმაცია, პ.3). ▪ „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ - დოკუმენტი შემუშავებულია უშუალოდ „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამისთვის და მოიცავს ინფორმაციას პროგრამის შედეგების, პროგრამის კომპონენტებისა და შედეგის ფორმირებაში მათი მონაწილეობის შესახებ. ამავე დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება და სამიზნე ნიშნულები იგეგმება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაღრმავება/განმტკიცება. შეფასების პერიოდი - ყოველი სასწავლო წლის დასასრული (თუ პროგრამის სტუდენტთა რიცხვი დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით). პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებული შედეგები გაანალიზდება და დადარდება სამიზნე ნიშნულებთან (დასაშვები გადაცდომა შეადგენს 20%-ს), რის შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები (მაგ., სასწავლო კურს(ებ)ში შინაარსი, წინაპირობები, შესწავლის სემესტრი; პროგრამის სტრუქტურა, სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმები და ა.შ.).

ამ დოკუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: 1) დაგეგმილი სამიზნე ნიშნულები დადგენილია არა პროგრამის კონკრეტული შედეგებისათვის, არამედ შედეგთა ჯგუფებისთვის („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“) მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის სტანდარტის თანახმად, პროგრამას უნდა ჰქონდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. ასევე, არ არის განსაზღვრული შეფასების რა მეთოდებით (გამოკითხვა, პროექტი, ესსე და/ან სხვ.) მოხდება სწავლის შედეგების მიღწების შეფასება-დადასტურება. აქვე დავძენთ, რომ პროგრამის შეფასებისთვის სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი არ არის გათვალისწინებული პროგრამის შეფასების და განვითარების მარეგულირებელ დოკუმენტში; 2) სამივე შედეგთა ჯგუფისთვის („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“) დადგენილია უნიფიცირებული სამიზნე ნიშნული - 60% (დაგეგმილ შედეგს მიაღწევს სტუდენტთა არანაკლებ 60%). ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი ადასტურებს მომდევნო პერიოდში ამ სამიზნე ნიშნულის არამხოლოდ მიღწების, არამედ გადაჭარბების შესაძლებლობას - არსებული მონაცემებით სტუდენტთა 60%-მა უკვე დაასრულა პროგრამა შეფასებებით 100-61 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტების შესაბამისად:

- შემუშავებული და გამოყენებულია პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსების უნიფიცირებული ფორმები. მათი მეშვეობით შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება პროგრამის და მისი კომპონენტების ორგანიზებისა და თავისებურებების შესახებ;
- შემუშავებულია პროგრამის კურიკულუმის დანართები #2 „სასწავლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა“ და #3 „სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“, რომლებიც მკაფიოდ ასახავენ როგორც პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობას, ასევე პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტებსა და მათ როლს (საფუძვლების შექმნა, გაღრმავება, განმტკიცება) პროგრამის შედეგების ფორმირებაში;
- განხორციელდა პროგრამის გარე და შიდა ექსპერტიზა. შედეგები აისახა შეფასების ფორმებში, რომლებიც შესაბამისობის ფორმალური დადასტურების („შეესაბამება“/„არ შეესაბამება“) გარდა, ასევე, ითვალისწინებს შემფასებლის შემაჯამებელ რეკომენდაციებს/კომენტარს. ესპერტიზა განახორციელეს დარგის სპეცისლისტებმა (შიდა ექსპერტიზა - დაწესებულების აკადემიური პერსონალის წარმომადგენელმა; გარე ექსპერტიზა - საქართველოს სხვა უსდ-ს პროფესორმა).

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა პროგრამის თვითშეფასების პროცესის თანამშრომლობითი ხასიათი. თვითშეფასების პროცესი არის დოკუმენტირებული ოქმების სახით, საიდანაც ირკვევა როგორ მიმდინარეობდა თვითშეფასების პროცესი, ვინ იყო ჩართული ამ პროცესში, რა საკითხების გადაჭრაზე მუშაობა თვითშეფასებიის ჯგუფი და ა.შ. ინტერვიუს დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს ჯგუფის შექმნაზე, შესრულებულ სამუშაოზე და აღნიშნეს ამ პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობის მნიშვნელობა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრაზე პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა ისაუბრეს პროგრამის შეფასების პროცესზე და გამოთქვეს კმაყოფილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით, მიღებული რეკომენდაციების და კონსულტაციების ხარისხით. ამავდროულად, გასაუბრებისას გამოიკვეთა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მეტი კონსულტირების საჭიროება, განსაკუთრებით პროგრამის კომპონენტების დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

<u>ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ:</u>

უსდ-ს არგუმენტირებული პასუხის თანახმად, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია #17 (*„რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა ერთიანად შედეგთა ჯგუფებისთვის („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“), არამედ თითოეული კონკრეტული შედეგისთვის, ასევე, თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდეს შეფასების რომელი მეთოდით (გამოკითხვა, პროექტი, ესსე და/ან სხვ.) მოხდება ამ შედეგის მიღწევის შეფასება და დადასტურება“*) უსდ-ს მიერ გაზიარებულია. ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს როგორც სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასებას, ისე რეკომენდაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“; 2. საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ, (დადგენილება №05/01-384, 22. 02. 2018); ცვლილებები დადგენილება № 05/01-541, 08. 08. 2019); 3. „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“; 4. პროგრამის კურიკულუმის დანართები (#2 - სასწავლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; #3 - სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა); 5. შიდა და გარე ექსპერტების დასკვნები; 6. თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთა და განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა ერთიანად შედეგთა ჯგუფებისთვის („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“), არამედ თითოეული კონკრეტული შედეგისთვის. ასევე, თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდეს შეფასების რომელი მეთოდით (გამოკითხვა, პროექტი, ესსე და/ან სხვ.) მოხდება ამ შედეგის მიღწევის შეფასება და დადასტურება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია გაუმჯობესდეს პროგრამის განმახორციელებელთა კონსულტირების ხარისხი, განსაკუთრებით პროგრამის კომპონენტის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. 2. მიზანშეწონილია პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტებში აისახოს პროგრამის შეფასებისა და განვითარების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა სამიზნე ნიშნულებთან დადარების შედეგების გამოყენება; 3. მიზანშეწონილია დოკუმენტის „საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ, (დადგენილება № 05/01-384, 22. 02. 2018)“ შინაარსი მოვიდეს თანხდედრაში ამ დოკუმენტის დასახელებასთან; 4. მიზანშეწონილია დოკუმენტში „საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაუქმდეს/დაკორექტირდეს არარელევანტური ჩანაწერი „... ასევე მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის... ფუნქციები და მოვალეობები“ (იხ. გვ.4; IV. დამატებითი ინფორმაცია (დანართები), პ.3); 5. მიზანშეწონილია, უკვე მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების რიცხობრივი მაჩვენებლები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილია გარე შეფასება, რომლის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში პროგრამის ბოლო შეფასება განხორციელდა 2012 წელს - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (#736, 28.11.2012) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. სხდომის ოქმის (#18, 27-28.11.2012) თანახმად, პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. ამავე დროს, ოქმში მითითებულია სხვა საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, საიდანაც ნაწილი შესრულებულია, ნაწილი კი დღესაც საჭიროებს გარკვეულ გაუმჯობესებას, ასე, მაგალითად: „მიზანშეწონილია ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა“ და „კურსებზე ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის სრულყოფა“ (დასტურდება 2021 წელს ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით), „ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსების გარე წვდომის უზრუნველყოფა“ (დასტურდება სტუდენტთა გამოკითხვის, ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის ფონდში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების და ელექტრონულ რესურსებთან წვდომის და სარგებლობის შესაძლებლობის შემოწმების შედეგებით). უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამის გარე ექსპერტიზა (შეფასება) განახორციელა დარგის სპეციალისტმა - საქართველოს ერთ-ერთი უსდ-ს პროფესორმა, რომელმაც პროგრამა დადებითად შეაფასა. თუმცა, გარკვეულ კითხვებს აჩენს გარე და შიდა ექსპერტების შეფასებების იდენტურობა, კერძოდ: 1. შიდა შეფასება - „წარმოდგენილი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობები იძლევა სფეროს ფართო ცოდნის მიღების შესაძლებლობას. სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დაეუფლოს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების, პრინციპების, თეორიების, სისტემების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების ფართო ცოდნას. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის არის სავალდებულო და არჩევით კურსები -უცხო ენის კურსები, პროფესიული პრქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი; ვფიქრობთ, აღნიშნული პროგრამა საშუალებას მისცემს სტუდენტს განავითაროს ცოდნა საერთშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებით. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე“. 2. გარე შეფასება - „წარმოდგენილი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობები იძლევა სფეროს ფართო ცოდნის მიღების შესაძლებლობას. სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დაეუფლოს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების, პრინციპების, თეორიების, სისტემების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების ფართო ცოდნას. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის არის სავალდებულო და არჩევით კურსები -უცხო ენის კურსები, პროფესიული პრქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი; ვფიქრობთ, აღნიშნული პროგრამა საშუალებას მისცემს სტუდენტს განავითაროს ცოდნა საერთშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებით. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე“,

ზემოთ მითითებულ ორ შეფასებას განასხვავებს მხოლოდ გარე შეფასების ბოლოს არსებული ერთი წინადადება („წარმოდგენილ პროგრამაში კურსები დალაგებულია ლოგიკურად შესაბამისი წინაპირობების მოთხოვნების დაცვით“). აღნიშნული გარემოება ეჭვქვეშ აყენებს გარე და/ან შიდა ექსპერტიზის რეალურად ჩატარების ფაქტს და შეფასების შედეგების ვალიდურობას.

უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“ თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად ერთ-ერთ ინდიკატორებად მიიჩნევა პროგრამის „გარე შეფასება უცხოელი ექსპერტების მიერ (იხ. თ. I. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა). მეტი სიცხადისთვის დაწესებულებას ეთხოვა ამ შეფასების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა, თუმცა ინფორმაცია ექსპერტებისთვის მიწოდებული არ იყო, შესაბამისად ვერ დასტურდება ამ მექანიზმის გამოყენების ფაქტი.

<u>ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ:</u>

უსდ-ს არგუმენტირებული პასუხის თანახმად, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია #18 (*„უნდა ამოქმედდეს უცხოელი ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი, რომელიც თავად დაწესებულებამ დაადგინა დოკუმენტში „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები.“*) უსდ-ს მიერ გაზიარებულია. ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს როგორც სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასებას, ისე რეკომენდაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამის გარე შეფასება;
2. პროგრამის შიდა შეფასება;
3. „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“;
4. „საერთაშორისო ურთიერთობები. კითხვარი სტუდენტებისთვის“ (პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა);
5. პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. რეკომედებულია ამოქმედდეს უცხოელი ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი, რომელიც თავად დაწესებულებამ დაადგინა დოკუმენტში „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია გააქტიურდეს მუშაობა დღეისათვის აქტუალური (2012 წელს გაცემული) რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით;
2. სასურველია იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის ობიექტური გარე ექსპერტიზის ჩატარება;
3. სასურველია გარე შეფასებისთვის შემუშავებული ფორმა იყოს ნაკლებად ფორმალური და მოიცავდეს შეფასებას დაქვემდებარებულ ინფორმაციას;
4. სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რიცხვი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ვაიდურობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“ თანახმად, პროგრამის შეფასება ხდება სხვადასხვა რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. მიიჩნევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს ხვადასხვა რაოდენობრივი და თვოსობრივი ინდიკატორების გამოყენება, მათ შორის: პროგრამის შეფასება გარე შეფასება დამსაქმებელთა, ასევე ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეფასება; პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის (ჩარიცხვის, გადასვლის/გადმოსვლის, პროგრამის დასრულების და სხვ. რაოდენობები) და აკადემიური მოსწრების დინამიკა; პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულა (GPA), დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების მაჩვენებლები და სხვ.

ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის აუცილებელი ელემენტია დაინტერესებული მხარეების (პროგრამის სტუდენტები, განმახორციელებლები და კურსდამთავრებულები; დამსაქმებლები) დამოკიდებულებების კვლევა. ჩატარებულ გამოკითხვებთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

1) სტუდენტთა გამოკითხვა (9/20/21; რესპოდენტთა რაოდენობა: 21) - საგულისხმოა რესპოდენტთა რაოდენობა, ისე მათ მიერ პროგრამის შეფასება:

- კითხვა: „უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული ცოდნის მიღებას“ - რესპოდენტთა თითქმის თანაბარი რაოდებობა მიიჩევს, რომ „სავსებით უზრუნველყოფს“ (42.9%) და „ნაწილობრივ უზრუნველყოფს“ (42.9%);
- კითხვა: „უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული უნარების განვითარებას“ - რესპოდენტთა პოზიციები არის შემდეგი: 42,9% მიიჩნევს „ნაწილობრივ“, იგივე რაოდენობა (42.9%) - მიიჩნევს რომ „ვერ უზრუნველყოფს“;
- კითხვა: „უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს“ - რესპოდენტთა უმეტესობა (61,9%) მიჩნევს რომ პროგრამა „ნაწილობრივ უზრუნველყოფს“, ხოლო მოსაზრება „უზრუნველყოფს“ და მოსაზრება „ვერ უზრუნველყოფს“ თანაბარი რაოდენობის (19%) რესპოდენტთა მიერ არის დაფიქსირებული;
- კითხვა: „მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს“ - რესპოდენტთა 42.9%-ს პასუხია „დიახ“, ხოლო 38.1%-ის - პასუხია „ნაწილობრივ“;
- კითხვა: „შეესაბამება თუ არა უნივერსიტეტის ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს“ - რესპოდენტთა 52% მიიღნევს, რომ „ნაწილობრივ შეესაბამება, ხოლო 33%-ის პასუხი უარყოფითია (პასუხი „არა“).

არანაკლებ საყურადღებოა სერვისებთან დაკავშირებით სტუდენტთა დამოკიდებულებები:

- არსებული სტიპენდიებისა ან გაცვლითი პროგრამების შესახებ რეგულარულად ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით რესპოდენტთა უმეტესობა (57.1%) აფიქსირებს, რომ ეს სერვისი იშვიათად მიეწოდებათ;
- სტუდენტური ელექტრონული პორტალ StudLad-ით ნაწილობრივ კმაყოფილია რესპოდენტთა 47.6% (28.6% არის კმაყოფილი, ხოლო 23.8% - უკმაყოფილო);
- სწავლის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის წყაროებად მიჩნეულია: მეგობრები (რესპოდენტთა 28%), პროფესორ-მასწავლებლები (23.8%), ადმინისტრაცია და უნივერსიტეტის ვებგვერდი (19%/19%), სტუდენტური პორტალი Stud Lad (9.5%).

რესპოდენტთა დადებით შეფასებას იმსახურებს პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია (76.2%), შეფასების სისტემის გამჭვირვალობა (55%) და ბიბლიოთეკის მომსახურება (61.9%). რესპოდენტთა აზრით, სასწავლო პროცესის დასახვეწად და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია: მეტი პრაქტიკა, უფრო მეტი პრაქტიკული სამუშაოები, იმ საგნების დამატება, რომელიც საინტერესო და სამომავლოდ სასარგებლო იქნება, ლექტორებმა უფრო მეტად გამოიყენონ თანამედროვე მეთოდები, სტუდენტები უფრო მეტად დაინტერესდნენ სტუდენტური ცხოვრებით და უფრო ჩართულები იყვნენ უნივერსიტეტის საქმიანობაში, ბიბლიოთეკაში ყველა სასწავლო წიგნის უზრუნველყოფა, გამართული StudLab და სტუდენტების მეტი ინფორმირება. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხვის დოკუმენტს არ ერთვის მიღებული შედეგების ანალიზი, შეუძლებელია იმის დადგენა თუ რა გაკეთდა ან დაიგეგმა ვითარების გაუმჯობესების მიზნით.

2) დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი „სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი“ (2021), რომლის თანახმად გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს: სტუდენტები - 20 რესპოდენტი; აკადემიური პერსონალი - 15, სავარაუდო დამსაქმებლები - 5; კურსდამთავრებულები - 8). დოკუმენტში მითითებულია კვლევის მიზანი, კვლევის ჩატარების პროცედურა, კვლევის შედეგები და დამსაქმებლების გამოკითხვის ანალიზი. თუმცა, დაინტერესებული მხარეებისთვის დასმული კითხვებისა და მათ მიერ შესაფასებელი ასპექტების შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა, რა იყო შესაფასებელი ასპექტები და გაცემული რეკომენდაციების საფუძელი. წარმოდგენილი დოკუმენტის ჩანაწერები რიგ შემთხვევაში:

- არ შეესაბამება სხვა კვლევის შედეგებს. ასე, მაგალითად, სტუდენტთა მოსაზრება, რომ „საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის მიღებას, კვლევითი და პრაქტიკული უნარების თანაბარ განვითარებას, ხოლო სწავლის შედეგები უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს პრაქტიკული და სამეცნიერო, კვლევითი მიმართულებით“ არ შეესაბამება ზემოთ მოცემულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს. გარდა ამისა, ნაკლებად რელევანტურია ბაკალავრიატის სტუდენტების დადებითი შეფასება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან „სამეცნიერო“ მიმართულებით პროგრამის შედეგების შესაბამისობის შესახებ;
- ნაწილობრივ ურთიერთშეუსაბამოა, ასე მაგალითად, „კურსდამთავრებულებს <u>სრულად</u> აკმაყოფილებთ თავიანთი თეორიული მომზადების, პრაქტიკული და თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობისა უნარები“, ამავე დროს „კურსდამთავრებულები თვლიან, რომ მათ მიერ მიღებული ცოდნა <u>ძირითადად</u> აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად“.

3) დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი და შესაბამისი ინფორმაცია“, მიუხედავად დასახელებასა, პრაქტიკულად არ არის განხილული დამსაქმებლების მოსაზრებები და საჭიროებები. დოკუმენტში ასახული პროგრამის სტატისტიკური მონაცემები (სწავლის მსურველთა, ჩარიცხვების, სტუდენტთა მობილობის დინამიკა და ა.შ.) და სრულად არის გამეორებული ზემოთ მითითებულ დოკუმენტში („სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი“) არსებული ინფორმაცია აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვების შესახებ.

სტანდარტის წინამდებარე კომპონენტთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი:

1) <u>პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან</u>, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით - ინტერვიუს ფორმატში პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შეირჩა რამდენიმე უცხოეთის უსდ, მათ პროგრამთან დადარების შედეგები იყო გაზიარებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. დაწესებულებას ეთხოვა ექსპერტთა ჯგუფისთვის დამატებით ინფორმაციის მიწოდება ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა „ანალიზის დოკუმენტი“, რომელშიც მოკლე ანოტაციების სახით მოცემულია „სფეროს მიმოხილვა საქართველოში“ (ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელი უსდ-ების ჩამონათვალი); „საერთაშორისო გამოცდილება“ (უცხოეთის უსდ-ების ჩამონათვალი: სენტ-ლუისის, აშშ; ჰაიფას უნივერსიტეტი, ისრაელი); შესაბამისობა საერთაშორისო კლასიფიკატორებთან (ESCED; ESCO). თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტით არ დგინდება ამ პროგრამებთან დადარების შედეგები და გათვალისწინებული ასპექტები (მაგ., პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი და/ან სხვ.) როგორც მთლიანად პროგრამის, ისე მისი კომპონენტების დონეზე. ასევე, არ დგინდება რამდენად აქტუალური და გამოსადეგარია ამ დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია - დოკუმენტი დათარიშებული არ არის, ხოლო ინფორმაციის წყაროების ნაწილი მოძველებულია (მაგ., საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი, ეკონომიკური საქმიანობის სახეები, საქსტატი, თბ. 2016).

2) <u>პროგრამის მონიტორინგი, პერიოდული შეფასება</u>: იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა 2012 წლიდან ხორციელდება, დაწესებულებას ეთხოვა ექსპერტებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში (2012-2020) განხორციელებული პროგრამის შეფასების შესახებ. თუმცა, ეს ინფორმაცია ექსპერტებს არ მიეწოდათ, შესაბამისად, დოკუმენტურად არ დასტურდება 2012 წლის შემდგომ პერიოდში (გარდა რეაკრედიტაციისთვის მზადების პერიოდისა) პროგრამის შეფასება. ასევე, დაწესებულებაში მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტებში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება რა პერიოდულობით უნდა მოხდეს პროგრამის შეფასება (გამონაკლის წარმოადგენს ყოველწლიური სამიზნე ნიშნულებთან დადარება).

უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოადგენილ იქნა 2021 წლის განხორციელებული შეფასებების ამსახველი მასალები, კერძოდ:

ა) 2021 წელს ჩატარებული პროგრამის შეფასების ფორმა, რომელიც გარდა მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის დადასტურებისა („შეესაბამება“/„არ შეესაბამება“), ასევე მოიცავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შემაჯამებელ დასკვნას და პროგრამის დამტკიცების რეკომენდაციას;

ბ) „საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“, რომელშიც დეტალურადაა განხილული პროგრამის შედეგები სხვადასხვა ინდიკატორების ჭრილში (პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლები; პროგრამის კურსდამთავრებულთა თვისებრივი მაჩვენებ-

ლები; საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო პროგრამაში ჩართვის მაჩვენებელი; პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად). წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურად და ამომწურავად არის განხილული და გაანალიზებული 2016-2020 პერიოდის სტატისტიკური მონაცემები და მათი დინამიკა, მოყვანილია როგორც თითოეული ინდიკატორის, ისე შემაჯამებელი შეფასებები და დასკვნები.

დადებით გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს თვითშეფასების თანამშრომობითი, გუნდური ხასიათი და ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობა, რომლებმაც ინტერვიუს დროს ისაუბრეს თვითშეფასების პროცესში ჩართულობაზე და დადებითად შეაფასეს ეს პროცესი. ასევე, დადებითია დამსაქმებლების მიერ პროგრამის და მისი აქტუალობის შეფასება. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ შემდგომში ასეთ პროცესებში მონაწილეობის და დაწესებულებასთან შემდგომი თანამშრომლობის მზაობა.

<u>ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ:</u>

<u>დასკვნის პროექტის რეკომენდაცია #19</u>: „რეკომენდებულია მოხდეს ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგების დოკუმენტირება, რათა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით იყოს შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.“ –
ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ: 1) უსდ-ს მიერ არასწორად იყო გაგებული რეკომენდაციის არსი. კერძოდ, რეკომენდაციაში საუბარია არამხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე, არამედ საანგარიშო პერიოდში (2012-2020) განხორციელებულ პროგრამის შეფასებაზე, რაც პროგრამის სწავლის შედეგების გარდა სხვა ასპექტებსაც მოიცავს (მაგ., პროგრამის რესურსები, პროგრამის განხორციელების ხარისხი და სხვა, რაც თავად დაწესებულების მიერ არის განსაზღვრული) და პირდაპირ დაკავშირებულია სტანდარტის ამ კომპონენტის განმარტებასთან: „<u>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</u> ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით <u>ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით</u>. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად“. „მონიტორინგისა და პროგრამის <u>შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების</u> გამოყენებით პროგრამის ეფექტიანობის შეფასება“); 2) ვიზიტის დროს დაწესებულებას ეთხოვა ექსპერტებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში (2012-2020) განხორციელებული პროგრამის შეფასების შესახებ, რის შემდეგ უსდ-მ დამატებით წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი („2021 - ხარისხის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასება“; „2021 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“ (შესასწავლი ასპექტები: პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლები; პროგრამის კურსდამთავრებულთა თვისებრივი მაჩვენებლები; საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო პროგრამაში ჩართვის მაჩვენებელი; პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად); „აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ფორმები“). თუმცა, ამ დოკუმენტების მეშვეობით დასტურდება არა საანგარიშო პერიოდში (2012-2020) ჩატარებული სისტემატური/პერიოდული მონიტორინგის და პროგრამის შეფასების, არამედ 2021 წელს რამდენიმე მექანიზმის გამოყენებით პროგრამის შეფასების ფაქტი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დადასტურდებოდა სრული შესაფამისობა სტანდარტის შეფასებისთვის დადგენილ ისეთ კრიტერიუმებთან, როგორიცაა: 1) „პროგრამის მონიტორინგი და <u>პერიოდული შეფასება</u> ხორციელდება ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით“ და 2) „მონიტორინგისა და პროგრამის <u>შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების</u> გამოყენებით პროგრამის ეფექტიანობის შეფასება“.

- *<u>დასკვნის პროექტის რეკომენდაცია #20:</u>* „თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ.“ –

უსდ-ს არგუმენტირებული პასუხის თანახმად, „მასალებში წარმოდგენილი გვაქვს მსგავსი დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მოკლე შედარებითი ანალიზი და გაზიარებული მიდგომები“, მომავალში უფრო გავაფართოებთ უცხოურ ანალოგიებიდან მსგავსი მიდგომების გამოყენებას ჩვენს პროგრამაში“.

უსდ-ს მიერ მოხსენიებულ დოკუმენტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ ვიზიტის პერიოდში უსდ-ს ეთხოვა ექსპერტთა ჯგუფისთვის დამატებით ინფორმაციის მიწოდება ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგების შესახებ. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ „ანალიზის დოკუმენტში“ მოკლე ანოტაციების სახით მოცემულია „სფეროს მიმოხილვა საქართველოში“ (ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელი უსდ-ების ჩამონათვალი); „საერთაშორისო გამოცდილება“ (უცხოეთის უსდ-ების ჩამონათვალი: სენტ-ლუისის, აშშ; ჰაიფას უნივერსიტეტი, ისრაელი); „შესაბამისობა საერთაშორისო კლასიფიკატორებთან (ESCED; ESCO)“), თუმცა ამ დოკუმენტით არ დგინდება დოკუმენტში მითითებულ პროგრამებთან დადარება და დადარების გამოყენებული შედეგები (გათვალისწინებული ასპექტები). სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია: <u>„პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა“</u> (იხ. მე-5 სტანდარტი, 5.3. კომპონენტი, შეფასების მე-6 კრიტერიუმი), რასაც ვერ უზრუნველყოფს უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს როგორც სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასებას, ისე დასკვნის პროექტში არსებულ ორივე რეკომენდაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“;
2. „საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ, (დადგენილება №05/01-384, 22. 02. 2018); ცვლილებები დადგენილება № 05/01-541, 08. 08. 2019);
3. „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
4. „საერთაშორისო ურთიერთობები. კითხვარი სტუდენტებისთვის“ (პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა, 2021);
5. „სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი“;
6. „დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი და შესაბამისი ინფორმაცია“;
7. „საბაკალავრო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები“ (2021_შეფასება_ხარისხის სამსახური; დამატებით წარდმოგენილი);

8. „საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“ (2021_სწავლის შედეგების შეფასება_საერთაშორისო ურთიერთობები; დამატებით წარმოდგენილი); 9. გამოკითხვის ფორმები/ნიმუშები (დამატებით წარმოდგენილი); 10. „ანალიზის დოკუმენტი“ („ბენჩმარკინგის დოკუმენტი“; დამატებით წარმოდგენილი); 11. პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია მოხდეს ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგების დოკუმენტირება, რათა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით იყოს შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ. 2. რეკომენდებულია თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. მიზანშეწონილია დაკორექტირდეს/გაუქმდეს დოკუმენტში „ხარისხს გაუმჯობესების მექანიზმები“ დღეისათვის არარელევანტური ჩანაწერი: „უნივერსიტეტი ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება)“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
საერთაშორისო ურთიერთობები. ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა **ირაკლი მანველიძე**

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა - **ეკა დარბაიძე**

სახელი, გვარი, ხელმოწერა - **სალომე ალანია**

სახელი, გვარი, ხელმოწერა - **თამარ გვიანიშვილი**

სახელი, გვარი, ხელმოწერა - **ანა მჭედლიშვილი**